პროექტი

საქართველოს მთავრობის

განკარგულება

№------- 2022 წლის „-----“ ----------“ ქ. თბილისი

GG-B-UDW ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის გასაფორმებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შესახებ

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განახორციელოს GG-B-UDW ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის გასაფორმებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლისა და მომსახურების შესყიდვა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ გამოყოფილი და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში, GG-Q-3QT, GG-Q-3QS, GG-B-1BB ანგარიშებსა და GG-B-ZZY, GG-B-UDH ქეისებზე დარჩენილი თანხებით, საერთო ღირებულებით - 26 246 866.00 აშშ დოლარი.

2. „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, GG-B-UDW ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ფარგლებში, ამერიკის შეერთებული შტატების მხარე გათავისუფლდეს ამავე წესის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით, მე-11 მუხლის პირველი და 1^1 პუნქტებით, მე-12 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებითა და მე-13 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი მოთხოვნებისგან.

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**